პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2024 წლის _____ ივლისი; ქ. ბათუმი

ქ. ბათუმში, ანგისას ქ. N4-ში; ანგისას I ჩიხი N2, N4, N4ა, N4ბ-ში; ანგისის ქ. N2 და კობალაძის ქ. N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.32.12.273, N05.32.01.288, N05.32.01.754, N05.32.11.756, N05.32.01.755; N05.32.12.113; N05.32.12.216) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე და 43-ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ქალაქ ბათუმში, ანგისას ქ. N4-ში; ანგისას I ჩიხი N2, N4, N4ა, N4ბ-ში; ანგისის ქ. N2; კობალაძის ქ. N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კN 05.32.12.273, N05.32.01.288, N05.32.01.754, N05.32.11.756, N05.32.01.755; N05.32.12.113; N05.32.12.216) მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობისათვის დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმა; თანახმად დანართისა.

მუხლი 2

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზ-ღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:N05.32.12.273, N05.32.01.288, N05.32.01.754, N05.32.11.756, N05.32.01.755) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ 1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

მუხლი3

განემარტოს შპს „ემ ბილდინგ ბათუმს“ (ს/N445690271), რომ იგი ვალდებულია არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, საპროექტო ობიექტის სიმაღლე შეათანხმოს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან”.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, ანგისას ქ. N4-ში; ანგისას I ჩიხი N2, N4, N4ა, N4ბ-ში; ანგისის ქ. N2 და კობალაძის ქ. N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.32.12.273, N05.32.01.288, N05.32.01.754, N05.32.11.756, N05.32.01.755; N05.32.12.113; N05.32.12.216) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ქ. ბათუმში, ანგისას ქ. N4-ში; ანგისას I ჩიხი N2, N4, N4ა, N4ბ-ში; ანგისის ქ. N2; კობალაძის ქ. N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.32.12.273, N05.32.01.288, N05.32.01.754, N05.32.11.756, N05.32.01.755; N05.32.12.113; N05.32.12.216) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მიღება.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში, ანგისას ქ. N4-ში; ანგისას I ჩიხი N2, N4, N4ა, N4ბ-ში; ანგისის ქ. N2; კობალაძის ქ. N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.32.12.273, N05.32.01.288, N05.32.01.754, N05.32.11.756, N05.32.01.755; N05.32.12.113; N05.32.12.216) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ დადგენილების მიღება.

განმცხადებელია შპს ,,ემ ბილდინგ ბათუმი” (ს/N445690271), მოთხოვნილია ქ. ბათუმში, ანგისას ქ. N4-ში; ანგისას I ჩიხი N2, N4, N4ა, N4ბ-ში; ანგისის ქ. N2; კობალაძის ქ. N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.32.12.273, N05.32.01.288, N05.32.01.754, N05.32.11.756, N05.32.01.755; N05.32.12.113; N05.32.12.216) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება.
განმცხადებლის მიზანია ქალაქ ბათუმში, ანგისის ქ. N4-ში; ანგისის I ჩიხი N2-ში; ანგისის I ჩიხი N4-ში; ანგისის I ჩიხი N4ბ-ში (ს/კ:N05.32.12.273, N05.32.01.288, N05.32.01.754, N05.32.11.756, N05.32.01.755) მდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა. საპროექტო შენობის სართულიანობა არის 30 სართული; მრავალფუნქციური კომპლექსი დატვირთული იქნება: ავტოსადგომით; კომერციული და საცხოვრებელი ფუნქციით.

მოქმედი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტით ტერიტორიაზე ვრცელდება საქმიანი ზონა (შზ-3), სადაც კ1=0.5/0.7; კ2=4.6; კ3=0.2; ხოლო დაგეგმვის მიზნის მისაღწევად საჭიროა კ2 კოეფიციენტის გაზრდა 10.0-მდე, რამაც განაპირობა გდგ შემუშავების საჭიროება. მიწის ნაკვეთის ფართობია 4234.00 კვ.მ.; კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობია 42,340.0 კვ.მ; დახურული ავტოსადგომი 11 470 კვ,მ.

საპროექტო ობიექტის სიმაღლე დაზუსტდება არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე და მოხდება მისი შეთანხმება სსიპ ,,სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არ ასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**